

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N 733 2008 წლის 12 ნოემბერი ქ. თბილისი

“2008-2009 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 ოქტომბრის N655 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შეტანილ იქნეს ცვლილება “2008-2009 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 ოქტომბრის N655 განკარგულებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – სატყეო დეპარტამენტმა უზრუნველყოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული, კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების მიზნით 6 000 კუბური მეტრი საშეშე მერქნის დამზადება, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ვ. ვარძელაშვილის მიერ განსაზღვრულ ადგილებზე მისი ტრანსპორტირება და დასაწყობება.”.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

პრემიერ-მინისტრი

გრიგოლ მგალობლიშვილი